ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აღმზრდელის/აღმზრდელ-პედაგოგის რაოდენობით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა რომ აღმზრდელთა რაოდენობა დამატებულია და ამჟამად სრულადაა კანონთან შესაბამისი და დაცულია თანაფარდობა.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა, არის თუ არა მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესრულებისათვის.
დაწესებულების სტატუსის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2026 წლის ბიუჯეტი მერიასთან შეთანხმებულია და გამოყოფილია შესაბამისი რესურსი ყველა შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 15:51
**დასრულების დრო** - 15:54

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ქ. კასპის N5 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 127-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (ქ. კასპის N5 საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 127-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 13 ნოემბრისა.

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ქ. კასპის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა რომ საბჭოს სხდომას საპატიო მიზეზის გამო ვეღარ ესწრებოდნენ საბჭოს წევრები - ნანა ათუაშვილი, ნატო შეროზია და რონა პერტია. დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ხატია მოსიძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებისქ. კასპის N2 საბავშვო ბაგა-ბაღშიავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 2 და 3 სექტემბერს. სკოლამდელი

აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 112. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 112 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ხატია მოსიძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ძველი ავეჯის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომდგენელმა აღნიშნა, რომ ძველი ავეჯი უკვე ჩამოიწერა და გატანილია ტერიტორიიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 16:51
**დასრულების დრო** - 16:32

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ქ. კასპის N2 საბავშვო ბაგა-ბაღი)ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 112-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 2

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (ქ. კასპის N5 საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 112-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 13 ნოემბრისა.

**მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ქ. კასპის N4 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთოს ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ხატია მოსიძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებისქ. კასპის N4 საბავშვო ბაგა-ბაღშიავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 4 და 5 სექტემბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 88. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 88 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ხატია მოსიძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან

მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რეფერირების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა რომ გამოყოფილია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და გადამზადებულია.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადების საკითხით.
განმარტა რომ თითოეული საგანმანათლებლო პერსონალი გადამზადებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 16:58
**დასრულების დრო** - 17:01

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ქ. კასპის N4 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 88-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1

**გადაწყვეტილება:**

,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის

დაწესებულებების გაერთიანებას (ქ. კასპის N4 საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 88-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 13 ნოემბრისა.

**მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ქალაქ ვალეს N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთოს ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ქალაქ ვალეს N1 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 9 და 10 სექტემბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" I-II ნაწილი; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში" აქტივობათა კრებული I-II ნაწილი. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 150 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დამატებით დაინტერესდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენლისგან, თუ რატომ არ ეთანხმებოდა ხის ფაქტურის ავეჯთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ მეთოდურ სახელმძღვანელოში „ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში" მითითებული ხის ფაქტურის ავეჯის გამოყენება სარეკომენდაციო ხასიათის იყო და არ წარმოადგენდა სავალდებულო სტანდარტს. მან ასევე ახსენა, რომ სახელმძღვანელო მიზნად ისახავდა ხარისხიანი საგანმანათლებლო პრაქტიკის ხელშეწყობას და პედაგოგების მხარდაჭერას სივრცის შემოქმედებითად ორგანიზებაში, თუმცა არ ზღუდავდა დაწესებულების გადაწყვეტილებას ავეჯის მასალის ან ტიპის შერჩევისას.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა, იყო თუ არა ძირითადი პრინციპები დაკმაყოფილებული კურიკულუმის განხორცილებისთვის, თუ მხედველობაში არ მიიღებდნენ დაწესებულებაში არსებულ პლასტმასის სკამებს.

კურიკულუმის ექსპერტმა, ნუცა გელაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულება კურიკულუმის ყველა ძირითად მოთხოვნას აკმაყოფილებდა, გარდა სივრცეში ხის ფაქტურის ავეჯის, კერძოდ სკამებისა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, ითხოვა დამატებითი განმარტება, თუ რატომ არ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხაში რაოდენობრივი მაჩვენებლების სავალდებულოდ მითითების შესახებ.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ დაწესებულება აერთიანებდა 26 საბავშვო ბაღს და 80-ზე მეტ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს, რაც პრაქტიკულად გამორიცხავდა რესურსების ცენტრალიზებულად განსაზღვრის შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ, მოქმედებდა დეცენტრალიზებული მართვის მოდელი, რომლის მიხედვითაც თითოეული ბაღის, თითოეული აღმზრდელი თავად ადგენდა რესურსებზე მოთხოვნას საკუთარი ჯგუფების მოცულობისა და საგანმანათლებლო საჭიროებებისა და ასაკის მიხედვით. საგანმანათლებლო რესურსების მოთხოვნის განსაზღვრისათვის თითოეული საბავშვო ბაგა-ბაღის სამეურნეო ნაწილის გამგე წლის დასასრულს ახორციელებდა არსებული მარაგების აღრიცხვას, ხოლო თავის მხრივ, აღმზრდელი მის მიერ დაგეგმილ წლის მანძილზე განსახორციელებელ აქტივობების შესაბამისად ადგენდა რესურსების შესაბამის მოთხოვნას, რომელიც წარედგინებოდა საბავშვო ბაგა-ბაღის მენეჯერს. წარმოდგენილი მოთხოვნისა და არსებული მარაგების გათვალისწინებით ხდებოდა საბავშვო ბაგა-ბაღის საერთო ნუსხის წარდგენა ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისათვის. გაერთიანების დირექტორმა ასევე დაამატა, რომ ბაღში არსებული რესურსების არსებობა დასტურდებოდა მიღება-ჩაბარებით, ვიზუალური დათვალიერებითა და ინვენტარიზაციის დოკუმენტით.
კურიკულუმის ექსპერტმა, ნუცა გელაშვილმა, დაადასტურა, რომ დაწესებულებას ჰქონდა მიღება-ჩაბარების, ინვენტარიზაციის დოკუმენტი, თუმცა სტანდარტში შემავალი ინდიკატორი ითხოვდა ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან გათანაბრებულ რესურსს. ასევე, ექსპერტმა დაამატა, რომ დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი არ იყო რესურსების მინიმალური რაოდენობის ჩამონათვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 17:43
**დასრულების დრო** - 17:56

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ქალაქ ვალეს N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას (ქალაქ ვალეს N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 26 ოქტომბრისა. საბჭომ დაწესებულებას დამატებით განუსაზღვრა, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა, შეიმუშაოს მინიმალური რესურსების ნუსხა თითოეულ სააღმზრდელო ჯგუფზე გათვლით, რასაც გამოიყენებს რესურსების შეძენის, დაგეგმვის პროცესების წარმართვისთვის, ხოლო დაწესებულებაში არსებული პლასტმასის სკამები, სამომავლოდ, დაზიანების შემთხვევაში, ჩანაცვლდეს ხის ფაქტურის სკამებით.

**მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (სოფელ სხვილისის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ

საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისსოფელ სხვილისის N1 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 11 და 12 სექტემბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" I-II ნაწილი; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული I-II ნაწილი. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 30. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 18:15
**დასრულების დრო** - 18:18

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (სოფელ სხვილისის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 30 განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას (სოფელ სხვილისის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 26 ოქტომბრისა. საბჭომ დაწესებულებას დამატებით განუსაზღვრა, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა შეიმუშაოს მინიმალური რესურსების ნუსხა თითოეულ სააღმზრდელო ჯგუფზე გათვლით, რასაც გამოიყენებს რესურსების შეძენის დაგეგმვის პროცესების წარმართვისთვის, ხოლო დაწესებულებაში არსებული პლასტმასის სკამები, სამომავლოდ, დაზიანების შემთხვევაში, ჩანაცვლდეს ხის ფაქტურის სკამებით.

**მეათე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (სოფელ წყრუთის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისსოფელ წყრუთის N1 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 13 და 14 სექტემბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" I-II ნაწილი; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული I-II ნაწილი. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 60. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 60 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 18:30
**დასრულების დრო** - 18:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში შემავალისოფელ წყრუთის N1 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 60 განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას (სოფელ წყრუთის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 26 ოქტომბრისა. საბჭომ დაწესებულებას დამატებით განუსაზღვრა, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა შეიმუშაოს მინიმალური რესურსების ნუსხა თითოეულ სააღმზრდელო ჯგუფზე გათვლით, რასაც გამოიყენებს რესურსების შეძენის დაგეგმვის პროცესების წარმართვისთვის ხოლო დაწესებულებაში არსებული პლასტმასის სკამები, სამომავლოდ, დაზიანების შემთხვევაში, ჩანაცვლდეს ხის ფაქტურის სკამებით.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 18:40 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე